„განათლების ხარისხი და ელექტრონული მართვის პროექტი“

2014 წლის 15 სექტემბერს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმდა ხელშეკრულება (შეთანხმება) N4.2.1494. ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავდა პროექტრი: **„განათლების ხარისხი და ელექტრონული მართვის პროექტი“.**

პროექტის მიზანია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მოქალაქეების ეფექტურად და სწრაფად მომსახურების მიზნით, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების, მონაცემთა ბაზების მართვისა და დაცვის სტანდარტების გამოყენებით, განათლების ხარისხის ერთიანი მართვის ინფორმაციული სისტემის შექმნა.

პროექტს ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

პროექტის დასრულებისას, სსიპ განთლების მართვის საინფორმაციო სისტემა ხდება შექმნილი ელექტრონული პლატფორმის მესაკუთრე და იღებს პასუხსმგებლობას მის შემდგომ განვითარებაზე.

პროექტის ფარგლებში სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ, გრანტის სახით მიიღო 33210,10 (ოცდაცამეტი ათას ორასათი ლარი და 10 თეთრი) ლარი.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ წარმატებით დაასრულა პროექტით მასზე დაკისრებული მოვალეობები და შექმნა ელექტრონული პლატფორმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად.